



ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შეიცავს 31 დავალებას.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 35.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!




თეორიული ნაწილი

დავალება 1

ჩამოთვლილთაგან რა ტიპის ადაპტერია მოცემული სურათზე?

- ა) ვიდეოადაპტერი
- ბ) აუდიოადაპტერი
- გ) Wireless ქსელის ადაპტერი
- დ) Ethernet ქსელის ადაპტერი



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 2

ჩამოთვლილთაგან რა სახის კაბელია ნაჩვენები სურათზე?

- ა) USB კაბელი
- ბ) VGA კაბელი
- გ) HDMI კაბელი
- დ) Ethernet კაბელი



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 3

ჩამოთვლილთაგან რომელი ტიპის ოპტიკური დისკის გამოყენებაა მოსახერხებელი 25 გიგაბაიტი ინფორმაციის ერთ მეხსიერების მატარებელზე ჩასაწერად?

ა) MiniDisc (MD)

ბ) Blu-ray Disc (BD)

გ) Compact Disc (CD)

დ) Digital Versatile Disc (DVD)

დავალება 4

სტანდარტული კომპიუტერის მაგალითზე, ჩამოთვლილთაგან რომელია მეხსიერების მოცულობის ზრდის მიხედვით დალაგებული მიმდევრობა?

- ა) დინამიკური ოპერატიული მეხსიერება – პროცესორის რეგისტრი – ქეშმეხსიერება – მყარი დისკი.
- ბ) პროცესორის რეგისტრი – ქეშმეხსიერება – მყარი დისკი – დინამიკური ოპერატიული მეხსიერება.
- გ) პროცესორის რეგისტრი – ქეშმეხსიერება – დინამიკური ოპერატიული მეხსიერება – მყარი დისკი.
- დ) ქეშმეხსიერება – პროცესორის რეგისტრი – დინამიკური ოპერატიული მეხსიერება – მყარი დისკი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 5

ჩამოთვლილთაგან რომელია მიკროპროცესორის ტექტური სიხშირის საზომი ერთეული?

ა) ბრუნნი/წუთში

ბ) გიგაჰერცი

გ) მეგაბაიტი

დ) ამპერი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 6

ჩამოთვლილთაგან რომელია თვლის თექვსმეტობით სისტემაში ორთაწრივია მაქსიმალური რიცხვი?

ა) AA

ბ) BB

გ) DD

დ) FF

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 7

ფლემმეხსიერებაზე დარჩენილია 5 120 ბაიტი თავისუფალი სივრცე.

რამდენი სურათის ჩაწერა იქნება შესაძლებელი ფლემმეხსიერების თავისუფალ სივრცეში, თუ თითოეული სურათის ზომა 1000 კილობაიტია?

ა) ერთი სურათის

ბ) ორი სურათის

გ) ხუთი სურათის

დ) არც ერთი სურათის

დავალება 8

ჩამოთვლილთაგან რომელი ჩანაწერი შეესაბამება მოცემულ მიმდევრობას?

ორობითი რიცხვი – რვაობითი რიცხვი – ათობითი რიცხვი – თექვსმეტობითი რიცხვი.

ა) 101011 – 7342 – 101100 – 1BC2

ბ) 110011 – 8324 – 923212 – 1001

გ) 111111 – 5673 – 234114 – 2D3G

დ) 121212 – 2345 – 987211 – 1101

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 9

ფლემ მებსიერების დასახასიათებლად ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი?

- ა) ფლემ მებსიერება არის ელექტრონული მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაც ციფრული ინფორმაციის შენახვაა.
- ბ) ფლემ მებსიერების ზოგიერთი მოდელისთვის გათვალისწინებულია მონაცემთა დაცვის სხვადასხვა ტექნოლოგია.
- გ) ფლემ მებსიერებაზე ფაილების ჩაწერა/წაკითხვა მიკროსქემის საშუალებით ხდება.
- დ) ფლემ მებსიერებიდან შეუძლებელია ოპერაციული სისტემის გაშვება.

დავალება 10

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არის სწორი კლიენტ/სერვერის ტიპის ქსელის დახასიათებისას?

- I. სერვერის დანიშნულებაა ქსელის კლიენტებიდან შემოსული მოთხოვნების მომსახურება.
- II. კლიენტ/სერვერის ტიპის ქსელში ყველა ძირითადი რესურსი განთავსებულია სერვერ კომპიუტერზე.
- III. კლიენტ/სერვერის ტიპის ქსელში გაზიარებული რესურსების გამოყენება მხოლოდ ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერებს შეუძლიათ.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 11

მოცემული სქემა ასახავს კომპიუტერული სისტემის შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირებს, სადაც გამოტოვებულია ბლოკის დასახელებები.

ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ სქემის ცარიელ ბლოკებში ჩასაწერი კომპონენტების სწორი თანმიმდევრობა.

- ა) მომხმარებელი – ოპერაციული სისტემა – სამომხმარებლო პროგრამები – აპარატურული უზრუნველყოფა.
- ბ) მომხმარებელი – სამომხმარებლო პროგრამები – ოპერაციული სისტემა – აპარატურული უზრუნველყოფა.
- გ) მომხმარებელი – ოპერაციული სისტემა – აპარატურული უზრუნველყოფა – სამომხმარებლო პროგრამები.
- დ) მომხმარებელი – აპარატურული უზრუნველყოფა – ოპერაციული სისტემა – სამომხმარებლო პროგრამები.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 12

რომელი ტიპის მეხსიერება ინახავს ოპერატიული მეხსიერების ხშირად გამოყენებად მონაცემებს?

ა) დინამიკური ოპერატიული მეხსიერება

ბ) მუდმივი მეხსიერების მიკროსქემა

გ) ქემმეხსიერება

დ) მყარი დისკი

დავალება 13

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება/დებულებები ასახავს სწორად პროგრამის იარლიყის შინაარსს?

- I. ნებისმიერი პროგრამის იარლიყის წაშლა გამოიწვევს კომპიუტერიდან ამ პროგრამის წაშლას.
- II. ნებისმიერი პროგრამის იარლიყის წაშლა ხელს არ შეუშლის პროგრამის მუშაობას კომპიუტერში.
- III. ნებისმიერი პროგრამის იარლიყის წაშლით ეს პროგრამა კომპიუტერიდან არ წაიშლება, მაგრამ აღარ იმუშავებს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 14

ჩამოთვლილთან რომელი განმარტება ამყარებს პრინციპს, რომ Windows ოპერაციული სისტემა არის მრავალმოცანიანი სისტემა?

- ა) Windows ოპერაციულ სისტემაში შესაძლებელია ერთდროულად მხოლოდ ორი პროგრამის გაშვება/შესრულება.
- ბ) Windows ოპერაციულ სისტემაში შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე პროგრამის გაშვება/შესრულება.
- გ) Windows ოპერაციულ სისტემაში შესაძლებელია ერთდროულად ნებისმიერი რაოდენობის ფანჯრის გახსნა.
- დ) Windows ოპერაციული სისტემით შესაძლებელია ერთდროულად ისარგებლოს რამდენიმე მომხმარებელმა.

დავალება 15

ფერთა RGB მოდელში წითელ ფერს შეესაბამება კოდი (190,0,0).

ჩამოთვლილთაგან რომელი კოდი შეესაბამება ზუსტად იმავე ინტენსივობის მწვანე ფერს?

ა) (190,190,0)

ბ) (0,190,0)

გ) (0,0,190)

დ) (0,190,190)

დავალება 16

ჩამოთვლილთაგან რომელი პორტით/პორტებით არის შესაძლებელი სტანდარტულად პრინტერის კომპიუტერთან მიერთება?

- I. Lan პორტი
- II. USB პორტი
- III. VGA პორტი

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 17

ჩამოთვლილი თანმიმდევრობიდან რომელია ინფორმაციის საზომი ერთეულების ზრდადი თანმიმდევრობა:

ა) ბაიტი – ბიტი – ტერაბაიტი – მეგაბაიტი – კილობაიტი – გიგაბაიტი

ბ) ბიტი – ბაიტი – კილობაიტი – გიგაბაიტი – მეგაბაიტი – ტერაბაიტი

გ) ბიტი – ბაიტი – კილობაიტი – მეგაბაიტი – გიგაბაიტი – ტერაბაიტი

დ) ბაიტი – ბიტი – კილობაიტი – მეგაბაიტი – გიგაბაიტი – ტერაბაიტი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 18

რას აღნიშნავს სურათზე მოცემული ლოგო?

- ა) Wi-Fi კავშირს
- ბ) რადიო კავშირს
- გ) bluetooth კავშირს
- დ) თანამგზავრულ კავშირს



დავალება 19

კოლეგას დასჭირდა ელექტრონული წერილის კონფიდენციალურად გაგზავნა ერთდროულად რამდენიმე ადრესატთან, რაც გულისხმობს, რომ ადრესატებმა ვერ დაინახონ, ვისთან არის გაგზავნილი ეს წერილი.

ჩამოთვლილთაგან რომელ სამისამართო ველში ურჩევდით კოლეგას ადრესატების ელ. ფოსტის მისამართების ჩაწერას?

- ა) CC ველში
- ბ) To ველში
- გ) BCC ველში
- დ) To ან CC ველში

დავალება 20

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება/დებულებები შეიძლება გამოვიყენოთ დედაპლატის სწორად დასახასიათებლად?

- I. დედაპლატა სისტემური ბლოკის მიკროსქემაა და ყოველი მათგანი თავსებადია ნებისმიერი ტიპის პროცესორთან.
- II. დედაპლატა უზრუნველყოფს მასზე განთავსებულ და მასთან დაკავშირებულ მოწყობილობებს შორის ურთიერთკავშირს.
- III. დედაპლატებს ერთმანეთისგან განასხვავებენ ფორმ-ფაქტორით, რაც განსაზღვრავს გაბარიტულ ზომას, ფორმას და ზოგიერთ ტექნიკურ მონაცემებს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 21

ჩამოთვლილთაგან ინფორმაციის რომელი საცავის გამოყენება არ არის მოხერხებული 7 გიგაბაიტი ინფორმაციის შესანახად?

ა) გარე მყარი დისკი

ბ) CD დისკი

გ) Microsoft Onedrive

დ) Google drive

დავალება 22

ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ოპერაციული სისტემის ფუნქციას?

- ა) მომხმარებელსა და პროგრამულ საშუალებებს შორის ინტერფეისის უზრუნველყოფა.
- ბ) კომპიუტერული სისტემის რესურსების მართვა.
- გ) კომპიუტერული სისტემის უსაფრთხოება.
- დ) ბიოსის ჩატვირთვის ბრძანების გაშვება.

დავალება 23

კომპიუტერის ჩართვისას თანმიმდევრობით იტვირთება პროგრამები:

1. პროგრამა POST
2. Startup პროგრამები
3. ოპერაციული სისტემა
4. მაღალი დონის დრაივერები
5. დაბალი დონის დრაივერები

ჩამოთვლილთაგან რომელია ამ პროგრამების ჩატვირთვის სწორი თანმიმდევრობა?

- ა) 5 – 3 – 1 – 4 – 2
- ბ) 1 – 5 – 3 – 4 – 2
- გ) 2 – 1 – 5 – 4 – 3
- დ) 5 – 3 – 4 – 2 – 1

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 24

ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ოპერაციულ სისტემას?

ა) Java

ბ) Linux

გ) Android


დ) Mac OS

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 25

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია ასახული სწორად Task Manager დიალოგური ფანჯრის Startup ჩანართის (იხ. სურათი) შესაძლებლობები?

- ა) Task Manager დიალოგური ფანჯრის Startup ჩანართში არსებული პროგრამები ავტომატურად ეშვება ოპერაციული სისტემის ჩატვირთვისთანავე.
- ბ) Task Manager დიალოგური ფანჯრის Startup ჩანართში სასურველი პროგრამის პიქტოგრამის ასახვა შეუძლებელია.
- გ) Task Manager დიალოგური ფანჯრის Startup ჩანართიდან სასურველი პროგრამის გამორთვა შეუძლებელია.
- დ) Task Manager დიალოგური ფანჯრის Startup ჩანართში მხოლოდ უტილიტ პროგრამები თავსდება.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 26


კომპიუტერის ეკრანზე გამოჩენილი ინფორმაციის მიხედვით (იხ. სურათი), ჩამოთვლილთაგან კლავიატურის რომელი კლავიშის საშუალებით არის შესაძლებელი BIOS-ში შესვლა?

ა) F2

ბ) F12

გ) ESC

დ) DELETE



```
PhoenixBIOS 4.0 Release 6.0
Copyright 1985-2001 Phoenix Technologies Ltd.
All Rights Reserved
Copyright 2000-2013 VMware, Inc.
VMware BIOS build 397b

ATAPI CD-ROM: VMware Virtual IDE CDROM Drive
Mouse initialized

Press F2 to enter SETUP, F12 for Network Boot, ESC for Boot Menu      0:01
```

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 27

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ ასახავს სწორად მეხსიერების გაცვლის ბუფერის მახასიათებლებს?

- ა) მეხსიერების გაცვლის ბუფერი მონაცემთა შუალედური საცავია, რომელიც გამოიყენება პროგრამებს შორის მონაცემთა გასაცვლელად.
- ბ) მეხსიერების გაცვლის ბუფერში ზოგიერთი გამოყენებითი პროგრამა ერთდროულად რამდენიმე პარალელურ მოქმედებას ინახავს.
- გ) მეხსიერების გაცვლის ბუფერში არსებული მონაცემების გამოყენება მხოლოდ ერთჯერადად არის შესაძლებელი.
- დ) მეხსიერების გაცვლის ბუფერის მონაცემები ინახება კომპიუტერის ოპერატიულ მეხსიერებაში.

დავალება 28

ლექტორის ტექნიკური მახასიათებლის ზოგად აღწერაში გამოტოვებულია რამდენიმე პუნქტი.

ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობებიდან რომელი შეესაბამება აღწერილობაში გამოტოვებულ ადგილებს:

- ა) ეკრანის ზომა – ოპერატიული მეხსიერება – SSD – Wi-Fi
- ბ) ოპერატიული მეხსიერება – ეკრანის ზომა – SSD – Wi-Fi
- გ) ოპერატიული მეხსიერება – Wi-Fi – ეკრანის ზომა – SSD
- დ) ეკრანის ზომა – ოპერატიული მეხსიერება – Wi-Fi – SSD



მწარმოებელი ფირმა HP
მოდელის დასახელება ProBook 440 G5
პროცესორის ტიპი Intel Core i5
პროცესორის სიხშირე 1600 MHz
----- 14"
ეკრანის რეზოლუცია 1920 X 1080
----- 8 GB
მეხსიერების ტიპი DDR4
----- 256 MB
----- 802.11 a/b/g/n/ac

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დაახასიათეთ რასტრული და ვექტორული გრაფიკა, იმსჯელეთ მათ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. მოიყვანეთ რასტრული და ვექტორული პროგრამული უზრუნველყოფის თითო მაგალითი და აღწერეთ მათი გამოყენების სფეროები

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

განმარტეთ, რა არის ოპერაციული სისტემის Hibernate ბრძანება და შეადარეთ Shut down ბრძანებას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

განმარტეთ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში სარეზერვო ასლის (backup) ცნება და მისი დანიშნულება. დაასახელეთ ინფორმაციის დამგროვებელი ორი მოწყობილობა/საშუალება, რომელსაც გამოიყენებდით სარეზერვო ასლის შესანახად. იმსჯელეთ მათ უპირატესობასა და ნაკლოვანებაზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31